

ყარსის ხელშეკრულება - მიტები და რეალობა

ზურაბ ბატიაშვილი





წინამდებარე კვლევა შეიქმნა შვედეთის საერთაშორისო გავნითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (Sida) ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და შეიძლება არ ასახავდეს სააგენტოს თვალსაზრისს.

ავტორი: ზურაბ ბატიაშვილი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი 2021 წელი

ყარსის ხელშეკრულება, რითაც დადგინდა საქართველო-თურქეთის სახელმწიფო საზღვარი, საქართველოში არცთუ იშვიათად გამხდარა განხილვისა და დისკუსიების თემა.

ძალიან ხშირად საქმე გვაქვს მიზანმიმართულ სპეკულაციებთან, რისი მიზანიცაა ანტითურქული და ანტიდასავლური განწყობების გაღვივება ქართულ საზოგადოებაში და რის უკანაც, როგორც წესი, რუსეთი და რუსეთთან დაკავშირებული ჯგუფები დგანან ხოლმე.

რა არის და რას მოიცავს ყარსის ხელშეკრულება?

1921 წლის მარტისთვის საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი რუსეთის მიერ იყო ოკუპირებული, თუმცა ფორმალური თვალსაზრისით სამივე ქვეყანა დამოუკიდებელ, სუვერენულ სახელმწიფოს წარმოადგენდა.¹

ამიტომ საჭირო გახდა მათი მონაწილეობით მოლაპარაკებების გამართვა, რომელიც 1921 წლის 23 სექტემბერს დაიწყო თურქეთის ქ. ყარსში და 13 ოქტომბერს ხელშეკრულების ხელმოწერით დასრულდა, ერთი მხრივ, საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებსა და მეორე მხრივ, თურქეთს შორის.² ხელშეკრულების ძირითადი მიზანი იყო ახალი საზღვრების დადგენა.

ყარსის ხელშეკრულება გაფორმდა რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის მონაწილეობითა და პატრონაჟით და ძალაში შევიდა რატიფიკაციის შემდეგ, 1922 წლის 11 სექტემბერს.³

აღნიშნული ხელშეკრულება ძირითადად იმეორებდა 1921 წლის 16 მარტს მოსკოვში ხელმოწერილი ხელშეკრულების პირობებს, რომლითაც საბჭოთა რუსეთი და თურქეთი შეთანხმდნენ კავკასიაში ტერიტორიების განაწილების თაობაზე.

ყარსის ხელშეკრულება 20 მუხლისა და 3 დანართისგან შედგება. ამ შეთანხმებით დადგინდა საზღვრები თურქეთსა და სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებს შორის, რაც მკაფიოდ გაიწერა შეთანხმების შესაბამის მუხლებში.⁴

ხელშეკრულების მიხედვით, საქართველოს სსრ-ს ბათუმის ოლქიდან დარჩა ქ. ბათუმი და აჭარა, თურქეთმა კი მიიღო ართვინისა და არტანის ოლქები. თურქეთმა სომხეთის სსრ-ს დაუბრუნა ქ. გიუმრი და დაიტოვა ქ. ყარსი და მისი შემოგარენი.



ყარსის ხელშეკრულების მიხედვით გავლებული სახელმწიფო საზღვრები

ყარსის ხელშეკრულების მეექვსე მუხლი უშუალოდ ეხება საქართველოს, სადაც წერია: „თურქეთი თანხმდება საქართველოს დაუთმოს სუზერენიტეტი ქალაქ ბათუმზე და ბათუმის ნავსადგურზე და იმ ტერიტორიაზე, რომელიც მდებარეობს ამ

ხელშეკრულების მეოთხე მუხლში მითითებული საზღვრის ჩრდილოეთით და შეადგენს ბათუმის ოლქის შემადგენელ ნაწილს, შემდეგი პირობით:

1. ამ ადგილის მოსახლეობა, რომელიც მითითებულია ამ მუხლში, ისარგებლებს ფართო ადგილობრივი ავტონომიით, რომელიც უზრუნველყოფს თითოეული თემის კულტურულ და რელიგიურ უფლებებს და მოსახლეობას უფლება ექნება შემოიღოს მიწის კანონი საკუთარი შეხედულების მიხედვით;

2. თურქეთს გარანტირებული ექნება ბათუმის ნავსადგურში თავისუფალი სატრანზიტო მოძრაობა სხვადასხვა ტვირთებზე, რომლებიც იგზავნება თურქეთში, ან პირიქით, ყოველგვარი შეფერხების, ბაჟისა და სხვადასხვა გადასახადების გადახდის გარეშე“.⁵

მეშვიდე და მერვე მუხლებში, საუბარი ეხება სასაზღვრო ზონაში მცხოვრები მოქალაქეებისთვის გამარტივებულ სასაზღვრო მიმოსვლას და სამოვრებზე საქონლის შეუფერხებელ გატარებას ორივე მხარეს.⁶

ყარსის ხელშეკრულების სტატუსი თანამედროვე ეტაპზე

საქართველომ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, 1992 წელს აღიარა ყარსის ხელშეკრულება.

1992 წლის 30 ივლისს საქართველოს რესპუბლიკასა და თურქეთის რესპუბლიკას შორის ხელმოწერილი მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობების შესახებ ხელმოწერილი ხელშეკრულების პრეამბულა გვამცნობს:

„მხარეები აცხადებენ, რომ დაიცავენ მათ შორის დადებულ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს დაწყებული 1921 წლის 13 ოქტომბრის ყარსის შეთანხმებით. მხარეები ხელმძღვანელობენ იმით, რომ ამ შეთანხმებით საბოლოოდ დადგინდა საზღვარი ორ სახელმწიფოს შორის“.⁷

სამაგიეროდ, ყარსის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით არაერთგვაროვანი პოზიციაა სომხეთში,⁸ რის გამოც, ბუნებრივია, გაზრდილია ერევნის მოსკოვზე დამოკიდებულების ხარისხი. ხოლო თურქულ-სომხური ურთიერთობები დღემდე პრობლემატურად რჩება.

ყარსის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით არსებული მითები და რეალობა

ყარსის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით არსებობს რამდენიმე მითი, რომლებიც დროდადრო წინა პლანზე წამოიწევენ ხოლმე და რასაც ძირითადად რუსეთთან დაკავშირებული პოლიტიკური და მედიაჯგუფები აჟღერებენ. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობს „პატრიოტთა ალიანსი“,⁹ ასევე „ობიექტივი“, „ასავალ-დასავალი“ და „საქინფორმი“.¹⁰

მითი No 1: ყარსის ხელშეკრულებას 2021 წელს ვადა გასდის, რის შემდეგაც სათუო ხდება აჭარის საქართველოსთვის კუთვნილების საკითხი.

ყველაზე გავრცელებულია მითი, რომ თითქოსდა ყარსის ხელშეკრულებას ხელმოწერიდან 100 წლის შემდეგ (ანუ 2021 წელს) ვადა ეწურება, რის შემდეგაც ვითომცდა სათუო ხდება აჭარის საქართველოსათვის კუთვნილების თემა.

სინამდვილეში ზემოხსენებული ხელშეკრულება არავითარი ვადით არ არის შეზღუდული და, შესაბამისად, 2021 წელს მას ვადა ვერ გაუვა. ამრიგად, ვერც აჭარის კუთვნილების საკითხი ვერ დადგება.

პირიქით, ყარსის ხელშეკრულებით, თურქეთმა საქართველოს სუვერენიტეტი აღიარა აჭარაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ცნო საქართველოს სრული იურისდიქცია ბათუმსა და მის ოლქზე.¹¹

მითი No 2: ბათუმში ნატოს სამხედრო ბაზის განთავსების შემთხვევაში, 2021 წლიდან რუსეთი აღარ იქნება ყარსის ხელშეკრულების პირობების დაცვის გარანტორი და ბათუმი თურქეთის ხელში გადავა.

ეს მითი რამდენიმე დეზინფორმაციას შეიცავს:

როგორც ზემოთ აღინიშნა, ყარსის შეთანხმება არავითარი ვადით არ არის შეზღუდული და 2021 წელს მისი ვადის გასვლასა და რუსეთის გარანტორობაზე საუბარი წმინდა წყლის სპეკულაციაა.

რაც შეეხება განცხადებას ბათუმში ნატოს სამხედრო ბაზის განთავსების თაობაზე, მსგავსი საკითხი საქართველო-ნატოს სამხედრო თანამშრომლობის ფორმატში საერთოდ არც განხილულა.¹²

შესაბამისად, საუბრები ბათუმის თითქოსდა თურქეთის ხელში გადასვლასთან დაკავშირებით ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული.

მითი No 3: ყარსის ხელშეკრულება აჭარაში რეფერენდუმის გამართვის უფლებას ითვალისწინებს.

ამ მითის თანახმად, უნდა გაიმართოს რეფერენდუმი აჭარის მიკუთვნილობასთან დაკავშირებით.

რეალურად კი, ყარსის ხელშეკრულებაში რეფერენდუმის საკითხი ნახსენებიც არაა.¹³ შესაბამისად, იგი ვერ გაიმართება.

ყარსის ხელშეკრულების თემით სპეკულაციები 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდში

რეალურად, ყარსის ხელშეკრულების თემაზე საუბრები უმეტესწილად წმინდა წყლის სპეკულაციაა, რითაც ძირითადად დაკავებული არიან რუსეთთან დაკავშირებული პოლიტიკური და მედიაჯგუფები საქართველოში.

ისინი აღნიშნულ საკითხს პერიოდულად აყენებენ დღის წესრიგში. ეს განსაკუთრებით შესამჩნევი ხდება წინასაარჩევნო პერიოდში, რისი მიზანიცაა საქართველოს მოსახლეობის დეზინფორმირება, არარსებული საფრთხეების წარმოჩინება და ამ ფონზე ამომრჩეველთა ხმების მობილიზება.

ყარსის ხელშეკრულების თემით სპეკულაციები ხშირად ისმოდა 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდშიც.

ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობდა „პატრიოტთა ალიანსი“, რომელიც წინა წლების მსგავსად, კიდევ ერთხელ შეეცადა ანტითურქული განწყობების გაღვივებით ამომრჩეველთა ხმების მობილიზებას. მათ Facebook-ზე აქტიურად დაიწყეს რეკლამების გამოყენება ანტითურქული განწყობების გასაღვივებლად.


დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი,
საქართველოს პატრიოტთა ალიანსი
 Sponsored • Paid for by დავით თარხან-მოურავი, ირმა
 ინაშვილი, საქართველოს პატრიოტთა ალიანსი

**ყარსის ხელშეკრულება - დაიცავი აჭარა! დაიცავი შენი
 წილი საქართველო!**



**ყარსის ხელშეკრულება - დაიცავი აჭარა! დაიცავი შენი წილი
 საქართველო!**

*„პატრიოტთა ალიანსის“ მიერ 2020 წლის აგვისტოს ბოლოს
 და სექტემბრის დასაწყისში გაშვებული რეკლამები*

„პატრიოტთა ალიანსმა“ 2020 წლის 29 აგვისტოდან 5 სექტემბრამდე 9 პოლიტიკური რეკლამა გაუშვა, რომელთაგანაც 8 თურქეთის დისკრედიტაციას ემსახურებოდა.

რეკლამები შეიცავდა მოკლე ვიდეოებს, რომლებშიც პარტიის ლიდერები თურქეთს ქართული ქალაქების ოკუპაციის მცდელობებში „ამხელდნენ“. ვიდეოების დიდ ნაწილში ყურადღება გამახვილებული იყო ისტორიულ მოვლენებზე, რომლებიც ძირითადად არა თანამედროვე თურქეთს, არამედ ოსმალეთის იმპერიას უკავშირდება.¹⁴

ამავე კონტექსტში იხსენიებდნენ ყარსის ხელშეკრულებას, სადაც ფაქტები დამახინჯებულად იყო ნაჩვენები.

თითოეულ რეკლამაზე 100-199 აშშ დოლარი იყო დახარჯული, ჯამურად კი, ამ პერიოდში სულ 1910 აშშ დოლარი დაიხარჯა. რეკლამები პოტენციურად 1 მილიონ ადამიანს მისწვდა,¹⁵ რაც საკმაოდ დიდი რიცხვია, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ საქართველოს მოსახლეობის საერთო რაოდენობა 3.7 მილიონია.

თურქული მხარის რეაქცია

ბუნებრივია, თურქულ მხარეს აწუხებს, რომ ყარსის ხელშეკრულების საკითხი ხშირად ხდება მანიპულაციის თემა საქართველოს შიდაპოლიტიკურ ცხოვრებაში, რისი დასტურიცაა საქართველოში თურქეთის ელჩის ფატმა ჯერენ იაზგანის მიერ 2019 წლის ოქტომბერში გასაჯაროებული ოფიციალურ განცხადება, სადაც ვკითხულობთ: „დეზინფორმაციის ძალიან დიდი ტალღა გაჩნდა, განსაკუთრებით, აჭარის რეგიონისა და თურქულ-ქართულ ურთიერთობებთან დაკავშირებით. მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ საზღვარი თურქეთსა და საქართველოს შორის დელიმიტირებული და დემარკირებულია“.¹⁶

თურქეთის ელჩი კიდევ უფრო კონკრეტული იყო 2021 წელს მიცემულ ინტერვიუში, სადაც მან აღნიშნა: „მე მოვისმინე ერთი მოსაზრება, რომელიც ჩემთვის გასაკვირი და ცოტა სასაცილოც კი იყო. მე მკითხეს, იწურება თუ არა ყარსის შეთანხმების ვადა 2021 წელს. მე გამიკვირდა და ვიკითხე, საიდან მოიტანს ეს, თურქეთში ჩვენ არ განვიხილავთ ამ საკითხს. შემდეგ მე გავაცნობიერე, რომ ისინი იყენებენ ამ ხელშეკრულებას, რომელიც ჩვენი საზღვრების დემარკაციას ახდენს, საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედებისთვის. სწორედ ამიტომ ვამბობ – არა, ყარსის შეთანხმება სრულფასოვნად არის ძალაში. ჩვენი საზღვრები საქართველოსთან დემარკირებულია, რაც ნიშნავს, რომ ჩვენ პატივს ვცემთ ერთმანეთის ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს. ეს იდეა, რომ ჩვენ პატივს ვცემთ და მხარს ვუჭერთ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, მოსვენებას არ აძლევს ზოგ ადამიანს საქართველოს ფარგლებს გარეთ, რადგან მათ სურთ საქართველოსა და თურქეთს შორის პრობლემების შექმნა. მე, როგორც დიპლომატი და ელჩი, ვერ გეტყვით, ვის ვგულისხმობ. თუმცა მე შემიძლია ჩემი ნათქვამის დასამტკიცებლად დოკუმენტები მოგაწოდოთ. შემიძლია მოგცეთ ვებგვერდების მისამართები და სახელები“.¹⁷

დასკვნა

- ყარსის ხელშეკრულების თემით სპეკულაციას ჰყავს კონკრეტული ავტორი რუსეთისა და საქართველოში მოქმედი პრორუსული პოლიტიკური ძალების სახით;
- აღნიშნული ძალების მიერ ყარსის ხელშეკრულების თემასთან დაკავშირებით გავრცელებული მითების მიზანი კი ქართულ საზოგადოებაში ანტითურქული და, შესაბამისად, პრორუსული სენტემენტების გაღვივება და წინასაარჩევნოდ ხმების მობილიზებაა;
- უნდა ითქვას, რომ რუსეთისა და პრორუსული ძალების ეს მცდელობები მათთვის მაინცდამაინც დიდ შედეგს ვერ იძლევა. აღნიშნულმა ძალებმა კი შეძლეს ყარსის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით არსებული მითების მოსახლეობის დიდ ნაწილამდე მიტანა, მაგრამ ამას მათთვის საარჩევნო ხმების ზრდა არ მოუტანია. მაგალითად, ბოლო, 2020 წლის 31 ოქტომბერს გამართული, საპარლამენტო არჩევნების შედეგების მიხედვით, „პატრიოტთა ალიანსმა“ ხმების 3,14% (60 480 ხმა) მიიღო,¹⁸ რითაც პარლამენტში მხოლოდ 4 დეპუტატი შეიყვანა.¹⁹ აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ საქართველოს საზოგადოების 72%-ზე მეტი თურქეთთან ურთიერთობას დადებითად აფასებს;²⁰
- ბუნებრივია, რომ ყარსის ხელშეკრულებით მანიპულაციის თემა თურქულ მხარესაც აწუხებს;
- სამწუხაროდ, ყარსის ხელშეკრულების თემით მანიპულაციით დაწყებული ამ კამპანიის გასანეიტრალებლად საქართველოს ხელისუფლების მხრიდან არ გადადგმულა მკაფიო და კონკრეტული ნაბიჯები;
- სასურველი იქნებოდა, ისეთ საკითხებზე, რომლებიც შედის საინფორმაციო უსაფრთხოების სფეროში, ხელისუფლებამ მიიღოს შესაბამისი ზომები, სადაც მთავარი მიზანი უნდა იყოს საზოგადოების უფრო მეტი ინფორმირების გზით ე.წ. “fake news”-ების განეიტრალება.

შენიშვნები

1. ვახტანგ გურული, „ყარსის ხელშეკრულება“, ჟურნალი „ჩემი სამყარო“, No 13, 2016. გვ. 9.

2. ვახტანგ გურული, „ყარსის ხელშეკრულება“, ჟურნალი „ჩემი სამყარო“, No 13, 2016. გვ. 11.
3. ვახტანგ გურული, „ყარსის ხელშეკრულება“, ჟურნალი „ჩემი სამყარო“, No 13, 2016. გვ. 11.
4. Договор о дружбе между АССР, ССРА и ССРГ с одной стороны и Турцией с другой, заключенный при участии РСФСР в Карсе, 13 октября 1921 г. http://hrono.ru/dokum/192_dok/19211013kars.php
- „ყარსის ხელშეკრულების „საიდუმლო“, <https://infoarmy.ge/ge/news/19/yarsis-khelshekrulebis-saiduml>
4. „ყარსის ხელშეკრულების „საიდუმლო“, <https://infoarmy.ge/ge/news/19/yarsis-khelshekrulebis-saiduml>
5. ხელშეკრულება საქართველოს რესპუბლიკას და თურქეთის რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობის და კეთილმეზობლური ურთიერთობების შესახებ, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1207454?publication=0>
6. In Vartan Oskanian's Words, Turkey Casts Doubt On The Treaty Of Kars With Its Actions". Armenians Today. Istanbul: All Armenian Mass Media Association. Noyan Tapan. 13 December 2006. Archived from the original on 9 October 2007. Retrieved 3 March 2007.
7. დავით ნაროუშვილი, „დეზინფორმაცია: თურქეთი ყარსის ხელშეკრულებით აჭარას წაგვართმევს“, <https://factcheck.ge/ka/story/38695-%E1%83%93%E1%83%94%E1%83%96%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%A5%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98-%E1%83%A7%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%99%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%97-%E1%83%90%E1%83%AD%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A1-%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%92%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A1>
8. „ყველაფერი ყარსის ხელშეკრულების და თურქეთ-საქართველოს საზღვრის შესახებ“, <https://www.mythdetector.ge/ka/myth/qvelaperi-qarsis-khelshekrulebis-da-turket-sakartvelos-sazghvris-shesakheb>
9. მითები და რეალობა ყარსის ხელშეკრულების შესახებ, <https://factcheck.ge/ka/story/37989-%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%97%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90-%E1%83%A7%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%99%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%91>
10. “3 მითი ყარსის ხელშეკრულების შესახებ“, <https://www.mythdetector.ge/ka/myth/3-miti-qarsis-khelshekrulebis-shesakheb>
11. მითები და რეალობა ყარსის ხელშეკრულების შესახებ, <https://factcheck.ge/ka/story/37989-%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%97%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90-%E1%83%A7%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%99%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%91>

%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%99%E1%83%A0%E1%83%A3
%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-
%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%91

12. მითები და რეალობა ყარსის ხელშეკრულების შესახებ, <https://factcheck.ge/ka/story/37989-%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%97%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90-%E1%83%A7%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%99%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%91>

13. მითები და რეალობა ყარსის ხელშეკრულების შესახებ, <https://factcheck.ge/ka/story/37989-%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%97%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90-%E1%83%A7%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%99%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%91>

14. დენის იაგერი, „პომიდვრები, კარტოფილები და მეზობლური დავები“, <https://www.mythdetector.ge/ka/myth/pomidvreb-i-kartopilebi-da-mezobluri-davebi>

15. „თურქეთის ელჩი - ნამახვანის პროექტი საჩვენებელი მაგალითია, როგორ ხდება საქართველოში თურქეთის შესახებ საზოგადოებრივი აზრით მანიპულირება ჩვენი ურთიერთობების საზიანოდ, რასაც საქართველოსა და თურქეთის მთავრობები არ დაუშვებენ,“ <https://1tv.ge/news/turqetis-elchi-namakhvanis-proeqti-sachvenebeli-magalitia-rogor-khdeba-saqartveloshi-turqetis-shesakheb-sazogadoebrivi-azrit-manipulireba-chveni-urtiertobebis-sazianod-rasac-saqartvelosa-da-turqet/>

16. 2020 წლის 31 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნები, https://results.cec.gov.ge/#/ka-ge/election_43/dashboard

17. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნები შეაჯამა, <https://cesko.ge/geo/list/show/123458-tsentrallurma-saarchevno-komisiam-saqartvelos-parlamentis-2020-tslis-31-oqtombris-archevnebi-sheadjama>

18. დენის იაგერი, „პომიდვრები, კარტოფილები და მეზობლური დავები“, <https://www.mythdetector.ge/ka/myth/pomidvreb-i-kartopilebi-da-mezobluri-davebi>